№2152 2013 წლის 24 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიერ კლიპის დამზადებისა და მისი სატელევიზიო არხებზე განთავსების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 2013 წელს საქართველოს მთავრობის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირების მიზნით, საქართველოს მთავრობის კანცელარიამ „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში კლიპის დამზადებისა და მისი რამდენიმე სატელევიზიო არხზე განთავსებისათვის საჭირო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**